


სიკნაზი



— ა, ბატონო, მოვსპე ხელით შრომა!.. ჩემს მავივრად
როგორღი აწერს ხელს!..

იგი ქართველი კაცის წარმოდგენაში მწუხარე სახის რაინდად დარჩა შთამომავლობისათვის აუნონავ განძად დატოვებული მისი შემოქმედების ჭირისუფლურ სიმკაცრეში, ერთი შეხედვით, ძნელია სიცილის კვალის პოვნა. თავისი ცხოვრების სტილითაც გაუცნობარ ხელნათვას წააგავდა, პაგრაჟ დაკვირვებული თვალი, შეამჩნევს, რომ კონსტანტინე გამსახურდიას უხვად ჰქონდა მომადლებული დიდი მწერლის პიროვნება — იუმორის გრძნობა. მართალია, კბილებს როდი გვიჩვენებდა და კომიკურს, როგორც სტილის ნიშანს, თვითმიზნურად როდი მიმართავდა, მაგრამ მის ნაწერებში ისე ლაღად და ზომიერადაა ჩართული ირონია, სატირა, სარკაზმი, იუმორი და გროტესკიც კი, რომ მკითხველი აღფრთოვანებაში მოჰყავს მარტო სულისშემძვრელ პოლემიკურ სტილს კი არა, იმ კეთილ, შემპარავ ღიმილსაც, ქართული პროზის დიდოსტატის სახეზე ელვად რომ გაიბრუნს.

„ლომს, თუნდ ცალთვალას, ვინ შეჰყადროს, ელამი ხარო?“ — უყვარდა თქმა და საუბრითა ფილიანტებიდან გამოსმობილ თავის ისტორიულ პერსონაჟებს ზოგჯერ მარადიულ, იშვიათად კი თანამედროვეის ცოდვებს რომ აჰქიდედა, ამიც ალგორითულად დღევანდლობის კაცს მოძღვრვდა. მეფეთა და მდაბიოთა მწვრთნელი, წინასწარის სულის სარკვეში იმიჯომ გახედებდა, რომ ის პოეტანება გადმოგვტოვდა და შეცდომები არ გაგეწოვებინა.

კონსტანტინე გამსახურდიას რომანებში უხვად და სატირული პასაჟი, მახვილი თქმა, იუმორისტული სიტუაცია. მოიგონეთ, რა რთული, მრავალ-



მეგობრული შარავი
ბ. ფირცხალაშვილი (1970 წ.)

370

დიდოსტატის მრისხანე სიცილი

პლანოვანი და ნაწილობრივ სატირული ხასიათი: ფარსმან სპარსი, მახარია, ლუკაია ლაბახუა. ირონიის რაოდენ ფაქიზი გრძნობა აქვს გიორგი მეფეს („შანდლის ქურდის“ ამბავი), რა სატირული სიმძაფრით ხასიათდება მისი მონოლოგი „დიდოსტატის მარჯვენის“ ავტორი იგავებსაც წერდა და პერიოდულად „ნიანგში“ აქვეყნებდა. რა დაავიწყებს მკითხველს ყურძნისჭამია ძაღლს და მის ყასიდად აყვებებს: აქაოდა, ვენახს ვდარაჯობო („მამაჩემის ძაღლი“) ბუხა და არწივის უიღბლო ქორწილს — დღისით ბუ

საქმროს რომ ვერ ხედავდა, ღამით კი არწივს ეძინა („ბუ და არწივი“), გრძელი ლანდისგან გულმცემულ მელას, აქლემი რომ ეპატარავა და შეჭმა დაუპირა („მელა და აქლემი“).

ბრწყინვალე პოლემისტი გახლდათ. მართალია, ძნელი იყო მისთვის მთავარი საქმისაგან მოწყვეტა და კამათში ჩაბმა („მეც უნდა განვაცხადო, ჯერ არასდროს, არავის თავს არ დავსხმევარ მანამდის, სანამ ვინმე უფრო ადრე ასეთ რამეს არ ჩაიდენდა ჩემს მიმართ“), მაგრამ თუ არ მოასვენებდნენ, ღოლაქერის ჩაფხუტს მოირგე-

ბდა და ისეთ სატირულ მახვილს ამგერებდა მონიწილად, რომ კუდით ქვას ასროლინებდა. აი, როგორ უპასუხა ერთ კრიტიკოსს, რომელმაც განუცხადა, შენს ნაწერებს პრინციპულად არ ვკითხულობო:

„მე როგორმე გავუძლებ ერთი მკითხველის დაკარგვის დარდას. თუ ასეთი ცხვირის აზრებია მისაბაძი გახდება ოდესმე, შესაძლოა, მეც შევიკავო თავი მისი ნარკვევების გადაფურცლიდან და ვინძლო ძლიერ ჰომინინა — ტენი, მონტენი ან ემერსონი ორიგინალში გადავიკითხო“.

თავის ეცნიკლოპედიურ ცოდნას ზოგჯერ სარკასტულად იშველიებდა ამა ცხოვრების მუწუკთა მიწასთან გასასწორებლად:

„გაიქნა აეტესის მამაცი ასული კირკე, რომელმაც დამპყრობელი ბერძენი ავანტურისტები ღორებად აქცია.“

ნეტავი მეც მქონდეს კირკეს ჯადოსნური ნამალი, რომ ჩვენებური „მამებლები“, რომელნიც თავიანთი ცარიელი თავებით ივსებენ ცარიელ ჯიბეებს, ერთ მშვენიერ დღეს ღორებად ვაქციო“.

ერთ თავის გამოსვლაში კონფორიზმის მომხრენი უკუდო მელეებად მონათლა: „ისინი მაგონებენ იმ უკუდო მელეებს, რომელნიც სხვებსაც ურჩევდნენ, კუდაში მოიცვილეთო!“

ჩვენ კი გვგონია, ჩვენს ეპოქაში, როცა ოქროსწაპირის შავკანიანებმაც თავისუფლება მიიღეს, ეს ამბები მათ არ გამოუვათ და მხოლოდ თავს შეირცხვენ საქვეყნოდ“.

ასე რომ, ერის სამსახურში ყელამდე ჩამდგარი კონსტანტინე გამსახურდიას სიცილის მრისხანე იარაღსაც ოსტატურად ფლობდა.

რეზა მისხველაძე

მამაჩემს ვენახი ჰქონდა მდინარის გაღმა გაშენებული. როგორც ჯერაც დაწყებული არ იყო, ჩვენ ვამჩნევდით: ღამობით ყურძენს იპარავდა ვიღაცა.

მამამ მიბრძანა: ჩვენი ძაღლი წამეყვანა და ვენახში დამეგზავნა. პირველსავე ღამეს ყეფა შემოგვესმა.

„აბა, აიღე თოფი და ის ქურდები დაიჭირე როგორმე!“

მამის ბრძანება შევასრულე.

მთვარიანი ღამე იყო. ვენახში გავილურსე და აგრე ვუთვალთვალებდი.

გავიხედე: ძაღლი პირით მიწვედებოდა მტევანს, გადასანსლოვდა. მცირე ხნის შემდეგ კვლავ ასტეხდა ყეფას. მერმე კვლავ დაითრეფდა ნაყოფს და ხელახლა აყეფებოდა.

ა მ ი გ ა ვ ი ს მ ო რ ა ლ ი ა ს ე თ ი ა :
ზოგ-ზოგი მავნებელი თავად სჩადის სიამოვნებას და პატრონის თვალის ასახვევად სიფხიზლეს იჩენს ანაზად.

ზღარბი და ლოკოკინა

„მომოკილო!“ — შესძახა ლოკოკინამ ზღარბს.

„მუდამ გაგულისებული და აფხორილი დადიხარ, ერთხელაც ღიმილს ვერა ვხედავ მაგ შენ დაღრენილ ღამებზე, ამიტომაც ხმლებად გტყევი მაგ აბურძენილ თმები!“

„შენ რა გიშავს, ძმაო, თავი ისეთი წვრილი გაქვს და გასიპული, ყოველ ნახვრეტში იოლად შეძვრები, მე კი ბრძოლის მიხედვით ამტკიცებ გზის გაკაფვას, ამიტომაც ხმლებად მეტყენ თმები“.

დრედნოუტი და გუდურა

ერთი ომგადახდილი დრედნოუტი რეიდზე ისვენებდა. იქვე მახლობლად ერთი საწყალობელი გუდურა ვაგლახად ჭყუმპალობდა. წამოუვლიდა ტალღა, დრედნოუტზე მიახლიდა გუდურას.

ნაპირზე მდგარ მოსეირნეებს ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდათ, თითქოს გუდურა გააფთრებული ებრძოდა დრედნოუტს.

„მომოკილო, თავი ხომ არ შეგაძებია, მაგ ვეშაპს რომ ეძიძგილავები?“ — შეესიტყვა გზადმიმავალი კატარღა გუდურას.

„ფიქრი არაა“, — მიუგო გუდურამ, — „მე კარგად ვიცი, დრედნოუტი ჩემთვის ხელს არ გაისვრის. ამასობაში ეს უმაქნისი მოსეირენი დრედნოუტთან მებრძოლ რაინდს შემარქმევინ“.

მ ო რ ა ლ ი : ეს იგავი დაწვრილ ჩემი ლიტერატურული მტრების საგულისხმოდ. მათ კარგად იციან, მე მათთან შებრძოლებას ვერ ვიკადრებ და ამიტომაც მებლბაძუნებიან ეს ქარხვეტიები..

„ყურძნის ქურდი“

იმ დროს „ვილისში“ ჩაფიქვი და ატენს ნავედი, რათა ჩემი ბაღებისათვის მცირეოდენი ყურძენი მეყიდა.



იგავები

გლეხებმა შემიცვენეს, არავინ არ იკისრა ყურძნის ფასის გამორთმევა, ხოლო მე ვერ ვიკადრე მუქთად წაღება ყურძნისა.

სოფლის ბოლოს იწყებოდა კოლმეურნეობების ვენახები. მთვარიანი ღამე იყო. ერთი ახალგაზრდა წინ გადამიდგა და მომადახა:

„რისთვის გარჯილხარ, კონსტანტინე ბატონო?“

მე მას აფუხსენი ამჯერად ჩემი ამოდ ჩამოსვლის მიზეზი.

„ღმერთო მომკალი! ყურძნის მეტი რა გვაქვს?! წამობრძანდით ჩემთან!“ — თქვა და „ვილისში“ ჩამიჯდა.

საკმაოდ ვრცელ ზვარში შემიყვანა მანქანაანად. მერმე მივდექით მე, თავად ეს უცნობი და ჩემი შოფერი და კალათები გავავსეთ მწიფე ყურძნით.

გორს ჩავედით თუ არა, ეს კაცი ჩამოსხტა და ღამე ნებისა მისუწვა.

მე დიდი მადლობა მოვასხენე, თავისი ვენახიდან ამდენი ყურძენი რომ მითავაზა.



„ჩემი ვენახიდან?! მე ვინ მომცა, ბატონო, ვენახი?!“

„აბა, ვისი იყო ის ზვარში?“ — შევკითხე.

„ეშმაკისა და დოზანასი, სულ ერთი არაა, ვისიც იყო?“ — ეს თქვა, გადაიხარხარა და ბნელ შუკაში გაუჩინარდა.

ეს იგავი ყველამ დაიხსოვოს: არაა მართებული უცნობი კაცისაგან მიიღო ძღვენი, თორემ უთუოდ გაილანძლები!

ლომი და ტურა

ერთი ლომი და ერთი ტურა დაძმობილდნენ. ტურა მსტოვრად ჰყავდა ნადირთა მეფეს. თუ სადმე მონადირენი წვრილ მხეცებს დახოცავდნენ, ტურა მყისვე გეზს აიღებდა და თავის ბატონს იმ ტყეში წაიყვანდა.

ერთ დღეს ტურამ ლომი შეიყვანა ერთ ტყერში, სადაც მონადირენი მუსსრა ავლებდნენ შვლებს.

„რა მოგდის, შე ცანცარა, რამ შეგაშინა აგრე?“

„ეჰ, მე თავად გულმაგრად გახლავართ, დიღო ბატონო, ოღონდ ეგაა: მე შენს მაგივრად შევეკრთი!“

მ ო რ ა ლ ი : აგრე ხდება მუდამ: მშიშარები თავიანთ სიმხდალეს უძლიერესთა გადაბრალევენ ხოლმე.

გამელი და კოდალა

გამელმა ცხვარი მოიტაცა ფარიდან და ტყეს შეაფარა თავი. უცებ მოესმა დაუჩინებელი რაკუნის შეკრთა. აგრე ეგონა: მონადირე აჩხაკუნებსო თოფის ჩახმახს. საკბოლოს მოეშვა და უშველებელი ფიჭვის ძირში გაინაბა.

ისევ შემოესმა რაკუნი. ზე აიხედა: თურმე კოდალა ფიჭვზე შესკუპებულიყო და არაკუნებდა.

— შენ დაგეტყვეს ოჯახი! — შესძახა მეგელმა კოდალას. — მთელი შენი სიცოცხლე არაკუნებ და აკაკუნებ მაგ შენს ოხერ ჩაქუჩს, მაგრამ ოსტატი მაინც ვერ გამხდარხარ!

— მე კი არა, შენ დაგეტყვეს ოჯახი! — მიუგო განაწყენებულმა კოდალამ. — მთელი შენი სიცოცხლის მანძილზე ცხვარს იპარავ, მაგრამ საკუთარი ფარა მაინც ვერ გაიჩინე!

მ ი ნ ა წ ა რ ი : ეს იგავი ეხება უნიჭო მოქანდაკეებს, რომელნიც დღენიდაგ არაკუნებენ თავიანთ ჩაქუჩებს, მაგრამ არაფერი გამოუდით ხელიდან.

კიდევ ერთ ვინმეს ეხება იგავი: პლაგიატორს, რომელიც მუდამ იპარავს სხვა ავტორების წიგნებიდან, მაგრამ დამოუკიდებელი მწერალი ვერ გამხდარა.



„დიდოსტაბის“ ახალი ეპილოგი

სწორედ იმ წელს, იუბილეის ჩემის გადახდა რომ განიზრახეს საქართველოში, უსიამო ამბავთა გალა დაატყდა სვეტიცხოველს.

აღდგომის კვირაძალში პირმშვენიერი შორენა მოიტაცა ღლაპმან ერთმან, ქარიხვეტია კოტემ.

შორენა მოიტაცესო?! — ელვის უსწრაფესად მოეფინა ეს ამბავი ტფილისის ფოლორცებსა და ქუჩაბნდებს. მოჯარდნენ და მოჯარდნენ სახლეულნი. მთელ ღამეს წკრიალებდნენ ტელეფონები, დაჰქროდნენ ვაკის უბანში ისრიმისფერი „სიტრონები“, ლაინისფერი „ფორდები“ და „როლს-როისები“ დიდდიდნი. მიმსვლელ-მომსვლელს ვეღარ აუდიოდა და რბაზი ვრცელი.

თავად პირმშვენიერი შორენა დობილის მისის სახლში იჯდა მტრედის მართვესავით გატრუნული ვენეციური სარკის წინაშე, ნელიად აფახულებდა გრძელ-გრძელ, ხორბლისფერ ნამწამებს, „უვაჩკად“ სახელდებულ ამერიკულ კევს ღეჭავდა გაუნყნარებლად და ელოდებოდა — როდის მომიძღვნისო ტანწაკეთიანი კოტე შეპირებულ იაპონურ „ვიდეოს“.

იძალეს ბოლოს ქალის მშობლებმა, მაჯაგანით მიაკვლიეს მხოლოდშობილის ასულის თვისის სამყოფელს და შუალამის ჟამს მთიჭრნენ მუნ.

„რატომ დამღუპეო, შვილო?! — საწყალობლად მოთქვამდა მხცით ოდნავ, სულ ო-ოდნავ შუბლდამშვენებული დედა, — რატომ ამოაგდეო ოჯახი შენი?!“

„გლოვა გვმართებსო, სულო, ნაგვევარესო ქალი-

შვილი ერთადერთი, მოგვეჭრაო თავი მთელს ქალაქში, გლოვა გვმართებსო, სულო!“ — ინიჭებოდნენ წვერ-ულვაშს იგლეჯდა მამა შორენასგან.

მერმე ის იყო, ცვილისფრად ქცეული მდუმარე კოტე ლანდის უსწრაფესად გამოეყო ხროს ძმაკაცებისას, სასიდედროს მიეახლა პატივით:

„მოხიეთო, დედავ ბატონო, ეხლა აქედან! არავინ გართმევთო ქალიშვილს თქვენსას! გაცისკრებულზე ჯვარს დავინერთ სვეტიცხოველში და მერმე შევუბროთო ჯიგრიანად!“

მეორე დღეს ქორწინების სახლიდან მცხეთისკენ გააქანეს მეგობრებმა პირმშვენიერი შორენა და ტანწაკეთიანი კოტე. თხუთმეტი მანქანა მიჰქროდა ხვლიკისფერ გზაზე, როგორც ნაბდით დაჭედილი ბედაურები. ოთხასი სული ელოდებოდა მაყრიონს მტკვრისპირა „არაგვში“, ტფილისელნი მოყმენი რჩეულნი და უტურფესნი ქალ-რძალნი, აყრილნი დედანულიანად. თამადა ბორჯომს წრუპავდა და მიკროფონს იმარჯვებდა მალ-მალ.

ტფილისიდან მეთხუთმეტე კილომეტრზე სულში ეშმა ჩაუსახლდა ხელისმომკიდეთაგან ერთს, შამპანურით ალგზნებულს ფრიად. გახელებული დაანვა და დაანვა აქსელერატორს, შმაგი სისწრაფით ჩაუქროლა ძმაკაცთა თვისთა მანქანებს და იმ „ვოლგასაც“ გადაასწრო, თოჯანა რომ ჰქონდა აკრული საქარე მინაზე, დაღრეჯილი ვაგლახად.

„გვიტყვას!“ — ესლა აღმოთქვა შეცბუნებულმა შორენამ და წყენით შეეფაკლა შველთუძველესი სპილოს ძვლისფერი ღანვები.

მაშინ პისტოლეტი დაადრო ტანწაკეთიანმა კოტემ, მამისგან ნაჩუქარი ძოღან. სამჯერ იჭექა გამაყრუებლად. საყვირები ჩართეს ძმაკაცებმა და აბლავლდა თხუთმეტი ავტო. გარულა გაიმართა მცხეთის სახლებში იგავმიუნვდენელი...

როდესაც ცხვირგატიხილი და კევის მღეჭველი შორენა სვეტიცხოვლის ეზოში შეიყვანეს, ბერიკაცი ვინმე შესწრებია ამ სანახაობას და ეს უოქვამს თურმე:

„არც ქორწინში ჰქონიაო საწყალობელ შორენას ბედ!“

და ეს ამბავიც ავაზის დღეს მოხდა.



ამ. მგელაძე.



ამ მოდიოდნენ არაბეთის მზით გარუჯული ჰიპოქრანდრიკი სარკინო-ზნი, ჩიყვიანი თურქები, ცხვირმოუ-ხოცელი ნომადები და ოტებულნი უკუიქცოდნენ წინაუკმო.

ჩვენმა ხალხმა ისტორიის addenda და corrigenda-ს დიდი ენერგია შეა-ლია, მაგრამ პინდოეთისა და ავ-ლანეთის გზაჯვარედინზე ხავსიან ჭეაზე დაუწერია ვილაც დამთხვეულს დიდებამ ჩინგიზ ხანისა. სუპერერო-ტიკი მეჭადაგე იქნებოდა უთუოდ. ციურბიში ერთი ფილოსოფიის დოქ-ტორი მიმტკიცებდა: „რადიის სხი-ვებს დაღუბვამდე შეუძლია მიიყვა-ნოსო კაცობრიობა“. ასე დაეცა დღეს აზროვნება პეტრარკასა და მიქელ-ან-ჯელო ბუონაროტის, უილიამ შექს-პირისა და მიგუელ დე სერვანტეს საავედრას, ლუდვიგ ვან ბეთოვენისა და ისააკ ნიუტონის ევროპაში.

ციკლიდან „ქართული მფარლავი—ქართველ ფეხბურთელებს“

საერთოდ სპორტი დიდი პოპულა-რობით სარგებლობდა ჩვენს ქვეყ-ნაში ოდითვე. Populus ლათინთა სიტყვაა და ხალხს ნიშნავს.

დიდია მნიშვნელობა ძველპინდუ-რი ჩანტურაკის, ევროპულ ფეხბურთ-ლისა და ქართული ჭადრაკისა და აზერბაიჯანის განმაცხადებია სათანა-დო ადგილას.

მაგრამ სულ სხვა არის ფეხბურ-თი. ასე უთქვამთ და მართალი უთქ-ვამთ უთუოდ. ესეც არაერთგზის განმაცხადებია კომპეტენტურ წრე-ებში.

ისტორიის მამა ჰეროდოტე ამბობ-და თავის დროზე — „არა აქვთო ეთიოპიაში კარები სახლებს“. ჰერო-დოტე ბრძენი კაცი იყო ფრიად და ჩვენს წელთაღრიცხვამდე განსაზღვ-რა ჩვენი ფეხბურთელების ეთიოპუ-რი სტუმარმასპინძლობა.

ვესურვოთ თოროსანსა და ჩოხო-სან მეციხოვნეებს, რომ თავდამსხმე-ლნი ოტებულხეონ და უკუიქციონ წინაუკმო.

აკაკი ბიბაძე

გზიარული რეპინისტენციებიდან

306 როგორ დაწერდა შოთა რუსთაველის იგავს

ყმამან უთხრა: „ეგე საქმე ამას გაესო, არა სხვასა: ორნი კაცნი მოდიოდნენ სადაურნი სადმე გზასა, უკანამან წინა ნახა ჩავარდნილი შიგან ჭასა, ზედ მიადგა, ჩაჰყიოდა, ტირს, იძახის ვაგლახ-ვასა.

ეგრე უთხრა: „ამხანაგო, იყავ მანდა, მომიცდიდე, ნავალ თოკთა მოსახმელად, მწადსო, თუმცა ამოგზიდე“; მას ქვეშეთსა გაეცინნეს, გაუკვირდა მეთად კიდე, შემოჰყივლა: „არ გელოდე, სად გაგეცე, სად წავიდე?“

კონსტანტინე გამსახურდია

არაბულ ალქიმიკი ში განსწავლული ფარსმან სპარსი სამთავროის დილეგიდან ღამეს შეჰყურებდა. შავად შემოსეულ ჭილყავებს ხეები დაეხუნძლათ. სმაშენყობილად ტიროდნენ ეგზემიანები და კეთროვნები, მათხოვრები და გიჟები. მორიელები და ჩრდილები ლასლასებდნენ დილეგში, სიკვდი-ლი ხომ არ იყო ეს?!

მე არაერთგზის დამინერია და ტრიბუნიდან მითქვამს: სი-კვდილმა უდიდესი როლი შეასრულა არაბთა ხალიფატი, სელ-ჯუქიანთა და ოტომანთა იმპერიების განადგურებაში. სიკვდილი სიკვდილს ნიშნავს! ესეც არაერთხელ განმაცხადებია, სადაც ჯერ არს. ჩემი განსწავლის პერიოდში ერთი პანგერმანელი ფი-ლოსოფოსი მიმტკიცებდა: ბერძნული ფინიკიურიდანაა: წარმო-შობილი. ახლა ვფიქრობ, ის მეცნიერი, ფრანგი გრანსენიორის ნაბუშარი იყო, ალბათ, და კოსმოპოლიტიზმის ფარვატერშიც ცუ-რადეა უცილოდ.

დღეს გუტტენბერგის გენიოსური გამოგონება საშუალებას გაძლევს, მოგვეჩინა და ფაქირების მსგავსად ვისაუბროთ ჩვენს შეცდომებზე.

აჰ, ვინც არ შემცდარა, იმას არა შეუქმნია რა, და ვინც არა სცდებო, იგი სასაფლაოზეა ამჟამად.

...ფარსმანი დილეგში იჯდა.

დღეს ყველა ორმოს დილეგს არქმევენ, ყველა სულელს — ფილოსოფოსს, ყველა ტყემალს — ალუჩას, ყველა უსაქმურს — „სპასატელს“, ყველა მოყვარულს — მონადირეს და ყველა მე-ტიჩარას — პარიკმახერს.

ბიზანტიის იმპერატორის მსტოვარი ეახლა ფარსმანს.

რადგანაც ირმის მყვირალობა ჯერ არ დანწყებულა, მო-კვლას გიპირებდო გიო-

რგი მეფე! მანდ დამი-ცადე, ახლავე თოკს მოვიტან და ამოგზი-დავო, კირითხუროთა უხუცესო ბატონო!

— ოლონდ დაუჩქა-რე, სუნმა შემანუ-ხო, მსტოვარო! — თავი ჩაჰკიდა ფარს-მან სპარსმა.

როდესაც მსტოვარი უკუმოიქცა, დილეგ-ში თოკი ჩაუშვა და ღამეულ სიჩუმეში ტყვეს შეუძახა, გაოც-და. თურმე, აღარსად იყო ფარსმან სპარსი. გაპარულიყო სიკვ-დილისგან და ლა-გამამოდებულ გველზე მჯდომი დაჰქროდა არაგვის ჭალებში.

...და ეს ამბავიც ავაზის დღეს მომხდარა.




არა ჩამია

რბ ფასი აქვს პროფორგანი-
ზაციის მუშაობას, რომელიც ვერ
ბედავს ხმა აღიმართოს მშრომელ-
თა ინტერესების დასაცავად. წარ-
მოებაში ამა თუ იმ უწყსრიგობის
წინააღმდეგ?

ნახ. ჯ. ლოლუასი



— რამ დამეუნჯა ჩვენი პროფორგანი-
ზაცია? —
— ამდენი წელია, ხმა არ ამოვადებდით,
და, აბა, რა მოუვიდოდა?



მიღის მატარებელი —
გულის გამწყალებული —
ერთმანეთზე მიზნული
ვაგონები ძველ-ძველი!..
კუბები — ბნელ-ბნელი,
დაუსუფთავებელი,
ფანჯრებგაუღებელი,
გაუნიავებელი!..

ტუალეტი — მოშლილი,
მოუწესრიგებელი,
ანტისანიტარია —
ყოვლად დაუშვებელი!..

მოღის გამცილებელი —
კაცი უშველებელი,
არაფრის მკეთებელი,
ჯიბის გამსქლებელი!..
მოაქვს ქვეშაგებელი —
პირსაღებინებელი!..
ზეწარ-საფარებელი —
შავი, გაურცხავი,
გამოუთვთრებელი!..


„ხომ გვაქვს მათეთრებელი?!
ხომ გვაქვს მათეთრებელი?!“
კივის მატარებელი!..
მიღის მატარებელი!..

ნიკოლოზ იოსაძეძე

უსადგადო ჩაკორსენაუბი და მოთმინებაჩაკორსენაუბი

სიტყვა რეკორდი განმარტებით ლექსიკონში ზღვრულის მიღ-
ნევას, კვლავაც გასაუმჯობესებელს, დროთა განმავლობაში დასაძლევს
ნიმნავა.
მართლაც რომ წამაქეზებელი და მაცდუნებელია ამ სიტყვის შინა-
არსი, რადგან რეკორდის დამყარება შეიძლება განუსაზღვრელად ყვე-
ლა საქმეში, ვალის აღება-გადაუხდლობაშიც კი!..
მაგალითად ტრესტ „კურორტმშენის“ თბილისის სპეცსამონტაჟო
სამმართველოს ხელმძღვანელებმა გასული წლის სექტემბერ-ოქტომ-
ბერში აღებული ვალი — 6265 მანეთი დღეისათვისაც არ გადაიხადეს!
კურორტმშენებელთა რეკორდის გაუმჯობესება სცადეს გურჯაანის
რაიონის ჩალაუბნის კოლმეურნეობის თავკაცებმა. თუმცა წელიწადზე
მეტია, პირგატეხილის სახელს ატარებენ, მაგრამ არ გაუმართლდათ,
როგორ არ ეცადნენ, მაგრამ ვალმა 4237 მანეთზე მეტს ვერ მიადნია!
თამაშში ყველაზე ადრე „საქსოფელექტრომშენის“ ჭიათურის № 8
სამონტაჟო სამმართველო ჩაება. გასული წლის აპრილიდან მოყოლე-
ბული, დეკემბრამდე არ დაუყრია ფარ-ხმალი, მაგრამ მოთმინებამ
ულაბატა და პაექრობა დათმო. თანხამ რაღაც 1326 მანეთი შეად-
გინა!..
სხედან ახლა ცხაკაიას ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანე-
ბაში თამაშის უშუალო მომწყობნი, თავს იმტკრევენ, რომელს და რა
მაჩვენებლებით მიაღწიონ პირველობა, იმასაც ფიქრობენ, ხომ არ მოი-
წვიონ უფრო კვალიფიციური მსაჯეები, რათა მეფავე რეკორდმენებს
თავიანთი დამსახურებისამებრ მიუზღონ.

ჭალელი



ნახ. მ. ზაზაძისა

— ხსსუუუ! არ გამიღვიძოთ, თორემ სამსახურიდან გამეპარებიან!..

სპორტის მოყვარულთა საყურადღებოდ!

(განხილვა)

რუსთავეში, მესხიშვილის მე-2 გასასვლელისა და მე-15 მიკრორაიონის გადათხრილ, ატალახებულ და ლეროლოროიან გზებზე, წვიმის შემდეგ, უფასოდ ისწავლება: სიგრძესა და სიგანეში ხტომა, ტალახის ზედა, ტალახში დგომა, წოლა, წუწოვა, გალუმპვა, წუმეში წარღვლის აკაპიწება, ცურვა, დგაფუნი, ჯდომა, ორმოში ფორთხვა, თხრილში თავით ან კისრულით გადაშვება, კისრის მოტეხვა, თავის გატეხვა, ლაფში ტანის ამოვლება და გორბობა... მართალია, მოგარჯიშენი წვრთნის დროს მკვდარსა და ცოცხალს არ უტოვებენ საფლავეში გზის გაიმწვანებლებსა და უი-შემკეთებლებს, მაგრამ, სამაგიეროდ, აკეთებენ დიდ და სასარგებლო საქმეს — პოპულარობას უწევენ ფიზიკულტურისა და სპორტის მასობრიობას!

ვარჯიშები ტარდება ფეხშიშველა ან რეზინის ჩექმებით (საგარეო ტანსაცმელსა და ფეხსაცმელში გამოწყობილ მოქალაქეებს ვურჩევთ, ფეხზე და ტანზე წინასწარ გაიხადონ!).

მოქალაქეთა დახმარების ან წყლით გაბერვის თავიდან აცილების მიზნით, რუსთავეის № 5 საბინაო-საექსპლოატაციო უბნის უფროსი ვალდებულია, საზოგადოებრივ საწყისებზე ჩამოაყალიბოს მასველი რაზმი, რომელიც ბეშვებს, ქალებს, მოხუცებსა და ინვალიდებს დაეხმარება ქუჩის ერთი ნაპირიდან მეორეზე უფათე რაკოდ გადასვლაში.

სწავლების ვადა ზამთრის პერიოდში. სპორტის მოყვარულებმა ვარჯიშის დროს თან უნდა იქონიონ:

- 1) პატარა ნაგები ან გრძელი ტაშტები (ნაპირიდან ნაპირზე გადასასვლელად).
 - 2) გრძელი თოკი, მავთული ან ბადე (ტალახში ჩაფლულითა ამოსატრევა).
 - 3) მედიკამენტები, ბინტი, ლეიკოპლასტირი და საკაცი (წყალწაღებულთა ან ორმოში ჩავარდნილთათვის პირველი სამედიცინო დახმარების აღმოსაჩენად).
- მოქალაქეო!
- თუ ვინიცოხა, ვარჯიშის დროს გაცივდით და დაგაცივკათ, ამ ქუჩების შეკეთებამდე არაფერი გეტიხონთ!

რუსთაველების დავალებით — ვანო ცინცაძე

ნ ა კ ვ ე ს ე ბ ი

- **მამეზმა** კონკურსში გაიმარჯვეს და — შვილები უკონკურსოდ ჩაირიცხნენ.
- **ბიუროკრატმა** მოსაცდელი ოთახი მოსაცდენი გახადა.
- **კომპინატორმა** — ბარემ ციხე-სიმაგრესაც ავიშენებო და — აშენებული დააწვედრეს.
- **ფული** გატაცებით უყვარდა და დატაცებით შოულობდა.
- **სახელმწიფო** ქონება გაანიავა და გაუნიავებელი ოთახი მისცეს.
- **მიმბანი** ან გარიშს ამრგვალბდა და თვითონაც დამრგვალდა.
- **ჩიტის** რძეც არ აკლდა, რადგანაც „კარგი ჩიტი“ იყო.
- **ზოგიერთი** მსაჯი გუნდს სჯის და არა — თამაშს.

ოთარ ნაჭყვია

(მ. სოხუმი)

ნახ. 3. კუციახი



სამსახური და მექანიზაცია

ნახ. 4. შინაშვილისა



ბიუროკრატის პარნასი

ნახ. პ. მორჩაძისა



სამეხელი კრიტიკა

ნახ. პ. აბაშიძისა



უხიტყვოდ

ისევ გადაება ფიქრი ფიქრს!..

დიდებული აზრი მომივიდა ამ დილაადრიან: „მოდო, ცხოვრებაში ერთ დღეს მაინც არ მოვიშლი ნერვებს, დავისვენებ!.. ჰოდა, ამიტომ ტელეფონს გამოვრთავ!.. არც არავინ შემაგინებს და არც მე შევაგინებ არავის!.. — გავივლე გონებაში და, საკუთარი საზრიანობით ფრიად კმაყოფილმა, კედლისკენ ვიბრუნე პირი.

ბოლოს და ბოლოს, ერთი დღე მაინც ხომ უნდა მოვუფრთხილდე ჯანმრთელობას?! ბრძენს უთქვამს, ყველაზე კარგი აფთიაქი საკუთარი ორგანიზმია, თუ მას კარგად მოუვლი! აფთიაქებში სიარულს მართლა სჯობს „საკუთარი აფთიაქის“ მოვლა!..

„ახლა ავდგები, ხელ-პირს დავებან, წვერს გავიპარსავ!“ — განვაგრძე ფიქრი, მაგრამ უცებ ვიგრძენი. უსიამოვნოდ გამცრა! — „ვაითუ, წყალი არ მოდიოდეს, რა იცი. კვირა დღეა!.. მაშინ რაღა აზრი აქვს ტელეფონის გამორთვის?! რა მგელს შეუჭამიხარ და რა მგლისფერ ტურას?!“

სულ არ შევალ აბაზანაში! რაკი ასეთი დიდებული აზრი მომივიდა და გადაგწყვიტე, ცხოვრებაში თუნდაც ერთი დღე ნერვების მოუშლელად, მშვიდად გავატარო, ისევ ფიქრებს მივეცი თავი:

„მოდო, ბავშვებს გავასვირნებ ბაღში!“ მაგრამ ამის გაფიქრება და უსიამოვნო ყრუანტელის დავლა ერთი იყო: იქ რომ ოცკაპიკიან ნაყინში ოცდაათ კაპიკს გადამახდევინებენ, სადღაც ხომ მაინც გამკრავს გულზე? მართალია, ათი კაპიკი არ დამაქცევს, მაგრამ რატომ, რისთვის?! მაინც ხომ უნდა დავერღვევს სიმშვიდე? რაღა ფასი ექნება მაშინ ან ტელეფონის გამორთვის, ან პირდაუხებლად გარეთ გამოსვლას?

ალარ ნაფიყვან ბაღში ბავშვებს! გამოგიტყდებით, აქაც დიდად მეამა საკუთარი წინდახედულობა!

ისევ გადაება ფიქრი ფიქრს... „რა კარგი ამინდია, ნამდვილი გაზაფხულის დილა!.. ფანჯრიდან გადავყოფ თავს, გრილი ჰაერი ავივსებ ფილტვებს!..“ მაგრამ რა იცი, რომ ამ დროს ზემო სართულიდან მეზობელი ნაგავს არ გადმოგაყრის?!

კვლავ აღფრთოვანებული დავრჩი საკუთარი გონებახეილობით! რამდენი წინდახედულობა მართებს ადამიანს!



„ალარ გადავყოფ თავს ფანჯრიდან! თუ ასე მინდა გრილი ჰაერი, ეზოში ჩავალ!“ — გავიფიქრე ეს და ის იყო, წამოვნიე თავი ბაღშიდან, რომ უჩინარმა ძალამ ისევ დამადებინა თავი ბაღში: „გონს მოდი! — თითქოსდა ჩამქირქილა ვიღაცამ, — ეზოში რომ ჩახვალ და ამ დროს გარაჟიდან გაკრიალებულ „ვოლგას“ გამოიყვანს მეზობელი, რომელსაც ორი კლასის განათლება არა აქვს, და გრილი ჰაერის ნაცვლად მანქანის თბილი გამონახოლქვით აივსებ ფილტვებს, რა ხასიათზე დადგები მაშინ?“

მოდო, მართლა თუ არ მინდა ნერვები მოვიშალო და მშვიდად ვიყო, ყველაფერს აჯობებს, დავიძინო, სჯობს, საფოსტო ყუთიდან გაზეთები ამოვიღო და გავიგო, სად რა გადის... მაგრამ ამის გაფიქრება და ჩემი ოცნების ცაზე შავი ღრუბლების ჩამონოლა ერთი იყო: საფოსტო ყუთიდან გაზეთებთან ერთად ტელეფონით საქალაქთაშორისო საუბრის მთელი გასული წლის ქვითრები რომ ამომყვეს, რა ხასიათზე დადგები მაშინ? მით უმეტეს, თუ ყველაფერს ყოველთვის ნესიერად ვიხდიდი! მე შენ გეტყვი და შეეკამათები ვინმეს ან დაუმტკიცებ რამეს?!

საერთოდ არ გავეკარები დღეს საფოსტო ყუთს! თუ ნერვების მოფრთხილება, ბოლომდე მოფრთხილება იყოს! დღეს საერთოდ არ ავდგები!.. — დავუსვი თუ არა გონებაში ბოლო სიტყვას ნერვული, უცებ ნირი წამისდა: მთელ დღეს ლოგინში მწოლარეს, რა იცი, რა ფიქრები არ ამეშლება?!

თუ მართლა მინდა დღეს ნერვები არ მომეშალოს, არ ჩავალ ეზოში! ყველაფერს აჯობებს დავიძინო, სხვა გზა არ არის!.. მაგრამ...

არა, არ დავიძინებ!.. მგონი, ყველაფერს სჯობს... და მინდოდა, გავყოლოდი ფიქრთა დინებას, რომ უცებ ტელეფონმა დაინკრიალა!..



უსიტყვოდ

გასაღებები

ჩემი ბინის კარის წინ დაბნეული ვიდექი და გასაღებს ვეძებდი, რომელიც მარჯვენა ჯიბეში უნდა მქონოდა, მაგრამ არ აღმომაჩნდა.


დაძაბული ვიხსენებდი გავილი გზას, ვცდილობდი. მომეგონებინა, სად შემდეგ დამეკარგა გასაღები...

დილით მაღაზიაში შევედი, კვერცხის ყიდვა მინდოდა... ათ ცალ კვერცხზე არ მყოფნიდა რვა კაპიკი, თანაც არ მინდოდა დამეხურდავებინა ხუთმანეთიანი, მაგრამ რომ არ დამეხურდავებინა, ვარგავდი ერთ ცალ კვერცხსა და რვა კაპიკს. მოლარეს არ მქონდა ხუთმანეთიანის ხურდა, დაუინებოთ კი მოხვდა რვა კაპიკს. მე დავუტოვე ხურდა და წამოვიღე ერთი კვერცხი... ოჰ, არა! — მე დავუტოვე კვერცხი და წამოვიღე უფლი, შემდეგ შევიარე ბაზარში. ბაზარში გამყიდველმა წაიღო ფული, მომიტანა ყველი. მინდოდა, მეყიდა პურიც, მაგრამ ვიყიდე... ცელოფანის პარკი, რადგან სისუფთავის მოყვარული პირები პურს შიგ დებენ. შემდეგ რძის ბოთლები მინდოდა ჩამებარებინა, რათა იმ ფულით მეყიდა პური და ძეხვი, მაგრამ რატომ მიჭირავს ისევ ხელში რძის ბოთლები?!

სდექ! რძის ბოთლების ნაცვლად, ჩასაბარებელ პუნქტში გასაღები მივეცი მუშას, რომელმაც გაკვირვებულმა შემომხედა და — სადღო, ჯიგაროო, მითხრა.

რამდენიმე წუთის შემდეგ რძის ბოთლებით ქუჩაში მივბოდი... გასაღები?!

ავთანდილ ჩხაიძე



ელდამი მოულოდნელობა

მოულოდნელმა რევიზიამ დანაკლისი აღმოაჩინა! თუ რევიზია ნამდვილად მოულოდნელია, ასეთი აღმოჩენა მხოლოდ მოულოდნელი არ იქნება. მოსალოდნელი რევიზიისაგან მოულოდნელს არ უნდა ველოდოთ!

მოულოდნელი დარტყმით მეტოქე ნოკაუტში გაგზავნა! კი, გაგზავნა, მაგრამ თვითონ რატომ წავიდა?!

მოულოდნელად კარში დარტყა, მაგრამ ააცილა! ჩვენების თამაში რომ ვიცი, მოულოდნელია არა დარტყმა, არამედ აცილება. თანაც ბევრად უკეთესი იქნება, თუ მოთამაშე, მოულოდნელი დარტყმისა და აცილების ნაცვლად, მოსალოდნელი დარტყმით გაიტანს გოლს.

მოულოდნელად ხულიგნის ხელში ბეზუთმა გაივლო! შე საძაგელო ხულიგანო, ასეთი რამ არ გეკადრება! ჩვენ შენს ხელში წაყინა ველოდით, შენ კი... გრცხვენოდე!

ქალი სახტად დარჩა: ვაჟმა ისე მოულოდნელად აკოცა! ვეუო, მეორედ ეს არ გაბედო! — ჯერ გააფროხილე, შეუთანხმდო, დაითანხმე, რომ ქალი სახტად არ დარჩეს და საერთოდ არ „დარჩეს“!

მოულოდნელად წამოეპარა მეტოქის გუნდის მოთამაშე და ბურთი აართვაო! არა, მაინც, რას ელოდა, მწვანე მინდორზე ფიანდაზს გაუშლიდნენ?!

მოსალოდნელი ამინდიო! ფხიზლად იყავით, ელოდეთ მოულოდნელობებს!

მოწინავე მეზუფეტის ავთანდილ ტარიელაშვილის ოჯახი მოულოდნელად ოთხი სულით გაიზარდა: მისმა ცოლმა, მოწინავე ოფიცინტმა ვენერა მიმტან-მომტანაშვილმა ოთხი გოგონა დაბადა! იფ! იფ! — ოთხი ქალიშვილი ერთად!.. სამშობიარო საესეა მოულოდნელობებით!

თქვენთვის მოულოდნელი — ჩასი ლეზგიშვილი

სასარგებლო რჩევები

● თუ სამსახურში არ გეძინებათ, აუცილებლად მიმართეთ ექიმს!

● ჰალსტუხის გაკეთებისას არ დაგავიწყდეთ ჰალსტუხის ყულფში თავის გაყოფა!

● თუ ტაქსის მძღოლმა კუთვნილი ხურდა ზუსტად დაგიბრუნათ, მიეცით იგი აუცილებლად უკანვე! — მან თავისი კეთილშობილური მოქმედებით ნამდვილად დაიმსახურა ეს! ხოლო თუ მძღოლმა ხურდა არ დაგიბრუნათ, ნუ გაჯავრდებით ამისთვის! — თქვენ ხომ ის ხურდა მაინც უკან უნდა მიგეცათ?!

● თქვენი მეზობელი თუ მთელი დღე მაგნიტოფონს აყვირებს, აპატიეთ! — მას თავისი გაკირვებაც ეყოფა, — სმენა რომ აკლია!

ერთი საიდუმლო რჩევა — ძალმბასა და კაცმბას!

● ოჯახში სარეცხი მანქანა თუ გაგიფუტდათ, ნუ ჩავარდებით პანიკაში! — გაიხსენეთ ძველი ჭეშმარიტება, რომ არ იყო მანქანა, მაგრამ იყო ქმარი!

● ოჯახში სარეცხი მანქანა თუ გაგიფუტდათ, ნუ ჩავარდებით პანიკაში! — გაიხსენეთ ძველი ჭეშმარიტება, რომ არ იყო მანქანა, მაგრამ იყო ცოლი!

ნიანგის ტელეპაიკი

მისასალმებელი ინციპაიკი

ბასულ ოთხშაბათს რესტორან „უსაზღვრო ლოდინის“ საბანკეტო დარბაზში ჩატარდა მიმტანების ტრადიციული კონკურსი დევიზით — „ვინ უფრო სწრაფად მოემსახურება მაგიდას!“. კონკურსში გაიმარჯვა ვინმე კერძებამ, რომელმაც აჩვენა შესანიშნავი დრო — ერთი საათი და 47 წუთი.

ტექნიკის სამსარგებლო


მორიგი შესწორება შეიტანა ნიუტონის I კანონში მოუსვენარმა გამომგონებელმა არქიმო ევრიკაძემ. ამჟამად აღნიშნული კანონი ასე გამოიქმნის: „თუ აღამიანს ორლიტრიანი ყანწით გამოვიყვანთ წონასწორობის მდგომარეობიდან, მაშინ იგი ინერციით განაგრძობს გზას იატაკისაკენ“.

წიგნის სიჰვარული

ამას წინათ ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა ცნობილმა წიგნმანმა ლექსო წიგნაძემ: მან 15 წუთში გადაფურცლა ლეიტოლსტოის „ომი და მშვიდობა“.

ბალახა ცოტაძე

არ შეიძლება პრინციპული, პარტიული შეფასების გარეშე დავტოვოთ იმ პირთა მოქმედება, რომლებიც შეგნებულად თუ შეუგნებლად, როგორც იტყვიან, სხვის ხმაზე მღერიან და ყველანიორ ჭორებსა და ხმებს ავრცელებენ. ასეთ მოვლენას ვერც ერთი კომუნისტა ვერ აუვლის გვერდს.



ს. ბ. ლობიძის

„ამერიკის ხმის“ „რეზონანსობორი“



სატირული ჟურნალი „ნიანგი“ № 15 (1949) აგვისტო, გამოდის 1923 წ. ივნისიდან.

გთავაზობთ რედაქტორი
საბჭოთა მომავალი

საუბრალოთ კოლეგია

გაბუა ამირეჯიბი, ნოვადი ბარათია, ბორის გურგულია, ნოდარ დუმბაძე, რევაზ თვარაძე, ჯემალ ლოლუა, ნოდარ მაღალაშვილი, მხატვარი - რედაქტორი, ალექსანდრე ხაშსონია, ბეჟან ხიხარულიძე (მთავარი რედაქტორის მოადგილე) ჯანსუღ ჩარკვიანი, თამაზ წიფივაძე, ნადი ჭუსოიძე.

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ კუხალაშვილი

გადაეცა ასაწყობად 14. 07. 83 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 31. 08. 83 წ. ქალაქის ზომა 60X90, ფინიკური ნაბეჭდი ფურცელი, 1,25, საბრტყევი-საგამომცემლო თაზანი 1,7, საქართველოს კ. კ. -ის გამომცემლობა, ლენინის, 14 შეკვეთა № 1772. უფ. 12104 ტირაჟი 138.000. ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ჩვენი მისამართი: 880008 თბილისი-8 რუსთაველის პროსპექტი № 42.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 99-55-54, მთ. რედ. მოადგილის — 93-19-42, ჯ. მდივნის — 93-10-78, მხატვარ-რედაქტორის — 99-02-38, განყოფილებათა გამგეების — 93-49-32, რედაქტორ-ლიტ. მუშაკების — 99-02-38, მდივანი - მემანქანის — 99-76-69.

სატირიკო - юмористический журнал «НИАНГИ» (На грузинском языке) Тбилиси, пр. Руставели № 42. Издательство ЦК КП Грузии. Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул.на Ленина № 14.

ფასი 20 კაპიკი
ინდექსი 76137